N 01-21/247
23/09/2021

247-0-4-202109231924

2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისთვის ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში შიდა მობილობის ვადების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“, ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის წესდების, უნივერსიტეტის დებულებისა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების საფუძველზე:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ ინსტიტუტში (შემდგომში უნივერსიტეტი) გამოცხადდეს 2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისთვის შიდა მობილობა საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებზე;
2. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე 2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის შიდა მობილობის მსურველ სტუდენტთა მიერ შიდა მობილობის შესახებ განცხადების წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2021 წლის 24 სექტემბრიდან 27 სექტემბრის ჩათვლით.
3. შიდა მობილობის მსურველი სტუდენტებმა განაცხადით უნდა მიმართონ შესაბამისი სკოლის დეკანს, სადაც უნდა მიეთითოს ის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზეც სურს სტუდენტს გადასვლა და ინფორმაცია მის მიერ გავლილი საგნებისა და მიღებული კრედიტების შესახებ;
4. შიდა მობილობის შესახებ სტუდენტთა განცხადების განხილვისა და კრედიტების აღიარების ვადა განისაზღვროს 2021 წლის 28 სექტემბრიდან 30 სექტემბრის ჩათვლით.
5. სტუდენტებისათვის აღიარებული კრედიტების გაცნობა და ხელშეკრულების გაფორმება განხორციელდეს 1 ოქტომბერს;
6. უნივერსიტეტის საქმისწარმოების მენეჯერმა ლიკა კაკაბაძემ უზრუნველყოს ბრძანების გაცნობა ყველა დაინტერესებული პირისთვის.
7. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

მარინე იოსელიანი

რექტორი